

ნათია კენჭიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თარგმანები ქართულ მჭევრმეტყველებაში

1. შესავალი

კვლევის მიზანია, გამოვავლინოთ ქართულ მჭევრმეტყველებაში არსებული თარგმანები, დავადგინოთ, ქართული მჭევრმეტყველების რომელ დარგებში მოგვეპოვება თარგმნილი ნიმუშები და რომელ ენებზეა ისინი შესრულებული, რა მიზეზები განაპირობებდა მჭევრმეტყველების ძეგლების თარგმნასა თუ სხვა ენებზე მათ ჩაწერას.

ზოგადად, ქართული მჭევრმეტყველების ტექსტები მომდინარეობს როგორც პირველადი, ისე მეორეული წყაროდან, რომლებიც სხვადასხვა უცხო ენაზე (**ძველებერძულ, ლათინურ, ფრანგულ, რუსულ** და სხვ.) დაწერილ ტექსტებადაა შემონახული. ამ კუთხით კი აუცილებელია დაზუსტდეს, რომ ნათარგმნი ნიმუშებში იგულისხმება როგორც უცხო ენებიდან ქართულად, ისე ქართულიდან უცხო ენებზე თარგმნილი მჭევრმეტყველების ნიმუშები. ასეთ შემთხვევაში, პირველი რიცხობრივად გაცილებით აჭარბებს მეორეს.

ცნობილია, რომ ქართული მჭევრმეტყველება იცნობს როგორც ორიგინალურ ნიმუშებს, ისე თარგმანებს. ყველაზე მეტი თარგმნილი ნიმუშები მოგვეპოვება **სამქადაგებლო მჭევრმეტყველების** დარგში, იგივე **ჰომილეტიკაში**, თუმცა, მიუხედავად ამისა, არის ქართული მჭევრმეტყველების ორგანული შემადგენელი ნაწილი. **სამქადაგებლო მჭევრმეტყველების** გარდა, ნათარგმნი მჭევრმეტყველების ნიმუშები ასევე შემორჩენილი გვაქვს **საელჩო, სამოსამართლო, სამგლოვიარო, სამხედრო** და **პოლიტიკურ მჭევრმეტყველებაში**.

ქართული მჭევრმეტყველების თარგმანების საკითხი, ფაქტობრივად, არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი. საკითხის შესწავლის ისტორიის მხრივ, ქართული მჭევრმეტყველების ტექსტები არაა ინტენსიურად განხილული და გაანალიზებული ქართულ მეცნიერებაში. ამდენად, საინტერესო უნდა იყოს მისი შესწავლა უშუალოდ მჭევრმეტყველების თვალსაზრისით.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, თუ რა მიზეზები განაპირობებდა მჭევრმეტყველების ნიმუშების თარგმნას სხვადასხვა ენაზე. წინამდებარე კვლევაში ნაჩვენებია

თარგმანები ქართულ მჭევრმეტყველებაში

ნები იქნება მთელი რიგი იმ მოსაზრებებისა, რომლებიც ხსნიდნენ თარგმანების არსებობის ფაქტს და თარგმნის საჭიროებას.

2. საკითხის შესწავლის ისტორია

საკუთრივ ქართული მჭევრმეტყველების თარგმანებიდან ყველაზე უფრო გამოკვლეული არის ქართული ნათარგმნი სასულიერო მწერლობა, კერძოდ კი სამქადაგებლო მჭევრმეტყველება, ანუ ჰომილეტიკა. უმთავრესი ნაშრომები, რომლებიც ქართულ ნათარგმნ სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას, იგივე ჰომილეტიკას ეხება, ეკუთვნის **ქეთევან ბეზარაშვილსა** (ბეზარაშვილი, 2004) და **ენრიკო გაბიძაშვილს** (გაბიძაშვილი, შრომები II, 2010; გაბიძაშვილი, 2009). ქართული მჭევრმეტყველების სხვა დარგებში თარგმანების საკითხი გამოკვლეული აქვთ **ნიკოლოზ კანდელაკს** (იხ. კანდელაკი, 1958; 1961; 1966; 1968; 1975), ასევე **რევაზ ბარამიძეს** (იხ. ბარამიძე, 1979) და სხვ.

საინტერესოა იმის დადგენა, სამქადაგებლო მჭევრმეტყველების გარდა, კიდევ რომელ დარგებში გვაქვს შემორჩენილი ნათარგმნი მჭევრმეტყველების ნიმუშები და რომელ ენებზე. ამისთვის კი აუცილებელია დაზუსტდეს, რომ ნათარგმნი ნიმუშებში იგულისხმება როგორც უცხო ენებიდან ქართულად, ისე ქართულიდან უცხო ენებზე თარგმნილი მჭევრმეტყველების ნიმუშები და მათი აღწერა-შეფასება.

2.1. თარგმანების მიმოხილვა

ქართული მჭევრმეტყველების თარგმნილი ძეგლები მიმოფანტულია სხვადასხვა ტიპის უცხოურ წყაროში და, უფრო მეტიც, დაცულია სხვადასხვა ენაზე. ამ გარემოების გათვალისწინებით, საკითხის შესწავლა მოითხოვს წყაროების გულდასმით გადახედვასა და ნიმუშების კვლევა-ძიებას. ქართულ მწერლობაში მოიპოვება ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, რუსულ და სხვა ენებზე შექმნილი მჭევრმეტყველების ნიმუშების ქართული თარგმანები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნებიან.

2.1.1. ბერძნული და ლათინური თარგმანები

ნიკოლოზ კანდელაკის ნაშრომებში ქართული მჭევრმეტყველების საისტორიო მასალები წარმოდგენილია შემდეგ პერიოდებად: I-IV სს. და VI-X სს. პირველი მონაკვეთი უცხო წყაროებითაა დადასტურებული, ხოლო მეორე – მშობლიური წყაროებით. ზეპირი მეტყველების ისტორიის სათავეები და ადრინდელი მჭევრმეტყველების ნიმუშები უმთავრესად დაცულია ბერძნულ-ლათინურ წყაროებში, რომელთა ავტორები არიან სტრაბონი, კორნელი ტაციტუსი, დიონ კასიოსი, ლიბანიოსი, თემისტოსი, აგათია სქოლასტიკოსი, პროკოპი კესარიელი. აქაა დაცული ცნობები ქართული მჭევრმეტყველების პირველსაწყისებისა და ადრინდელი ქართველი ორატორების – ფარსმან პირველის, ბაკურის, გუბაზ მეფის, აიეტის, ფარტაზისა და სხვათა შესახებ (კანდელაკი, 1968: 7-8).

ნათია კენჭიაშვილი

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ ბერძნულ და ლათინურ ენებზეა შემორჩენილი ქართველი ორატორების მიერ წარმოთქმული მჭევრმეტყველების პირველი ნიმუშები.

უცხოური წყაროებიდან უნდა დავასახელოთ, I ს.-ის რომაელი ისტორიკოსის **კორნელი ტაციტუსის** „*მატიანე*“. აქ მეექვსე წიგნის ოცდამეთოთხმეტე თავში მოთხრობილია ქართველებსა და პართელებს შორის მიმდინარე ომზე და ნახსენელია იბერთა მეფე **ფარსმან პირველი** (ახ. წ. I ს., 30-60-იანი წწ.), რომელსაც ბრძოლის წინ სიტყვა წარმოუთქვამს მხედრობის მიმართ. აღნიშნული სიტყვა დაცულია ძველბერძნულ ენაზე, გადმოცემულია მესამე პირით, არის პერიფრაზული ხასიათის და წარმოადგენს სამხედრო მჭევრმეტყველების ადრეულ ნიმუშს (კანდელაკი, 1968: 27).

ქართული მჭევრმეტყველების შემდგომი უცხოენოვანი წყაროებიდან უნდა დავასახელოთ VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსთან, **პროკოპი კესარიელთან** დაცული კოლხეთის მეფის **გუბაზის** „სიტყვა, თქმული ღაზი მხედრების მიმართ, მოხირისთან ბრძოლის წინ, 550 წელს“¹ (გეორგიკა, 1965: 148-149), რომელიც სამხედრო მჭევრმეტყველების ნიმუშს წარმოადგენს. აქვე მოთავსებულია ქართული საელჩო მჭევრმეტყველების ერთი მეტად საინტერესო ძეგლი – „ღაზთა დესპანის სიტყვა სპარსეთის მეფის ხოსრო პირველის წინაშე“² (გეორგიკა, 1965: 75-81). **ნ. კანდელაკის** შეფასებით, „ეს სიტყვა ქრონოლოგიურად პირველი ორატორული ძეგლია, რომელიც მოღწეულია ჩვენამდე სრული სახით და, ჯერხნობით, ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის ყველაზე ადრინდელ მთლიან ქმნილებად უნდა ჩაითვალოს“ (კანდელაკი, 1968: 30).

აგათია სქოლასტიკოსის (536-582), ბიზანტიელი პოეტისა და ისტორიკოსის საისტორიო თხზულებაში წარმოდგენილია ქართველი ორატორების **აიეტის** „სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო“ (გეორგიკა, 1936: 64-70)³ და **ფარტაზის** „სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო“ (გეორგიკა, 1936: 72-81)⁴ ფარულ თათბირზე და **კოლხთა წარმო-**

¹ შენიშვნ.: კოლხეთის მეფის გუბაზის „სიტყვა, თქმული ღაზი მხედრების მიმართ, მოხირისთან ბრძოლის წინ, 550 წელს“ მრავალჯერ დაიბეჭდა (იხ. ჭყონია, 1890: 352-353; კანდელაკი, 1958: 104)

² შენიშვნ.: „ღაზთა დესპანის სიტყვა სპარსეთის მეფის ხოსრო პირველის წინაშე“ ასევე მრავალჯერ გამოქვეყნდა (იხ. ჭყონია, 1890: 349-351; კანდელაკი, 1968: 590-591).

³ შენიშვნ.: აიეტის „სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო“ ასევე მრავალჯერ დაიბეჭდა (იხ. ჭყონია, 1890: 354-358; არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, (შემდგ.). 1898: 266-271; კანდელაკი, 1958: 106-109; ჯაგოდნიშვილი, ჯაგოდნიშვილი, პაპასკირი, 2000: 105-109).

⁴ შენიშვნ.: ფარტაზის „სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო“ ასევე მრავალჯერ გამოქვეყნდა (იხ. ჭყონია, 1890: 359-365; არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, (შემდგ.), 1898: 271-278; კანდელაკი, 1958: 110-115; ჯაგოდნიშვილი, ჯაგოდნიშვილი, პაპასკირი, 2000: 110-116).

თარგმანები ქართულ მჭევრმეტყველებაში

მადგენლის „საბრალდებო სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებაზე, 554 წელს“ (გეორგია, 1936: 129-140)¹, ავტორის ვინაობა უცნობია.

შემდეგ უკვე გვაქვს ახალი დროის თარგმანები, მაგალითად, 1962 წელს გამოიცა „თარგმანები – ბერძენი და რომაელი ავტორები“ (ქავთარაძე, 1962), სადაც წარმოდგენილია პეტრე ქავთარაძის მიერ თარგმნილი ლისიას, ციცერონისა და სალუსტიუსის სიტყვები. ასევე 1984 წელს გამოიცა გიგლა სარიშვილის მიერ ძველბერძნულიდან თარგმნილი დემოსთენეს „ფილიპიკები“ (დემოსთენე, 1984), სადაც მოთავსებულია სიტყვები მიმართული მაკედონიის მეფე ფილიპე მეორისადმი, ხოლო 2000 წელს გამოქვეყნდა ვახტანგ კაჭახიძის კრებული „ორატორები“ (კაჭახიძე, 2000), სადაც შესულია ბერძენი, ფრანგი და რუსი ორატორების სიტყვების თანამედროვე ქართული თარგმანები.

ცალკე ადგილი უნდა დაეთმოს სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას, რომელიც აგრძელებს ბერძნულიდან ქართულად მჭევრმეტყველების ნიმუშების თარგმნის ტრადიციას. IV ს.-დან, ქრისტიანობის ოფიციალურ, სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ავტორებიც და ტექსტებიც შედარებით მრავლადაა მოღწეული: გრიგოლ ნეოკესარიელის ანუ საკვირველთმოქმედის (+270 წ.) და ევსები პამფილიელის, ანუ ჟამთა აღმწერლის (+339 წ.) ჰომილიები მცირე რაოდენობითაა ჩვენამდე მოღწეული, ხოლო ეფრემ ასურისა (+373 წ.) და ათანასე ალექსანდრიელის (+373 წ.) ჰომილიათა რიცხვი გაცილებით დიდია, ასევე მელეტი ანტიოქიელის (IV ს. შუაწლები) 12 ჰომილიის თარგმანი შეტანილია ქართულ ხელნაწერებში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს სამი კაპადოკიელი მამა – ბასილი დიდი (+379 წ.), გრიგოლ ღვთისმეტყველი ანუ ნაზიანზელი (+390 წ.) და გრიგოლ ნოსელი (+394 წ.) (გაბიძაშვილი, 2010: 245). მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი ნაწილობრივ ითარგმნა უცნობი მთარგმნელის მიერ X ს.-მდე. მისი ჰომილიების თარგმანის ახალი ეტაპი ეფთვიმე მთაწმინდელის სახელთანაა დაკავშირებული. მან თარგმნა გრიგოლ ნაზიანზელის 15 ლიტურგიკული „სიტყვა“, რომელიც ათონის მონასტრის ხელნაწერშია შეტანილი. ხელნაწერებში ვხვდებით „სწავლანის“ ჰომილიებს. ეფთვიმეს თარგმანების გარდა ასევე ვხვდებით დავით ტბელის, ეფრემ მცირის და გრიგოლ ოშკელის (X-XI სს.) თარგმანებსაც. სულ შემორჩენილია გრიგოლ ნაზიანზელის 45 საღვთისმეტყველო სიტყვა. იოანე ოქროპირმა (დაახლ. 347-407 წწ.) ახალი ეპოქა შექმნა ჰომილეტიკაში. მისი ჰომილეტიკური მემკვიდრეობა აჭარბებს მანამდე არსებულ ჰომილეტიკურ მემკვიდრეობას ერთად აღებულს.

შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში დაცულია რამდენიმე ასეული ჰომილეტიკური, ანუ სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ნიმუში. „ბიზან-

¹ შენიშვნა: კოლხთა წარმომადგენლის „საბრალდებო სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებაზე, 554 წელს“ ასევე მრავალჯერ გამოქვეყნდა (იხ. კანდელაკი, 1958: 116-121; ჟვანია, 1961: 141-146; ჯაგოდნიშვილი, ჯაგოდნიშვილი, პაპასკირი, 2000: 117-123).

ნათია კენჭიაშვილი

ტიური ჰომილექტიკური ძეგლების ქართული თარგმანების სიმრავლე დასტურდება მრავალრიცხოვან კრებულებში შეტანილი თარგმანებით, რომლებიც უშუალოდ ბერძნული ენიდან არიან გადმოღებული უძველესი დროიდან (მათი გარკვეული ნაწილი აღმოჩნდა ხანმეტობის დროინდელ პალიმფსესტებში, რომლებიც V-VIII სს. მიეკუთვნება) XVIII ს. ჩათვლით, აგრეთვე იმ კრებულებში, რომლებიც ადვილობრივმა ენთუზიასტებმა შეადგინეს უკვე თარგმნილი ჰომილექტიკური თხზულებების გარკვეული სპეციფიკის მიხედვით, შერჩევის საფუძველზე. ამ კრებულების სახელწოდებებიც მრავალფეროვანია: „მრავალთავი“, „მარგალიტი“, „ფუტკარი“, „ოქროდს წყაროდ“, „კლიტე“, „ასკეტიკონი“ და სხვ. აღნიშნული საკითხი ამომწურავად აქვს შესწავლილი **ე. გაბიძაშვილს** და ამიტომ თითოეული კრებულის დახასიათებას მეტად აღარ შეეხებით (გაბიძაშვილი, 2009: 18; 2010: 247).

ორიგინალური ჰომილექტიკის შექმნამდე და მის შემდეგაც, ქართული ეკლესია იყენებდა უცხო ენებიდან, მეტწილად კი, ბერძნულიდან გადმოთარგმნილ ჰომილიებს. მართლაც, უძველესი დროიდან XVIII ს.-მდე (იოანე ბოლნელი (X ს.) გამონაკლისის სახით), თითქმის არ მოიპოვება ორიგინალური ჰომილექტიკა ქართულ ენაზე. თვით **იოანე ბოლნელიც**, როგორც პირველ ქართულენოვან ქადაგებათა ავტორის საკითხიც, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს; მაგალითად, **ელიშერ ჭელიძე** თვლის, რომ ეს უკანასკნელი „ორიგინალური ქადაგებების ავტორი კი არ არის, არამედ იოანე ოქროპირის ჰომილიათა პერიფრაზული ვარიანტების ავტორია“ (გაბიძაშვილი, 2010: 278), თუმცა, **რ. ბარამიძის** აზრით, „ი. ბოლნელის თხზულებების უმეტესი ნაწილი ორიგინალურია“, რასაც ადასტურებს მისი ქადაგებების შედარება იოანე ოქროპირის ჰომილიებთან (ბარამიძე, 1962: 57).

საკითხავია, თუ რატომ არ დაიწყო უფრო ადრე და უფრო ინტენსიურად ორიგინალური სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ნიმუშების შექმნის პროცესი ქართულ ენაზე. ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით. **კორ. კეკელიძის** აზრით, ამას გააჩნდა რამდენიმე მიზეზი: უპირველეს ყოფლისა, უნდა ითქვას, რომ მანამდე არ იყო სათანადო ნიადაგი მომზადებული მსგავსი შემოქმედებისთვის, გარდა ამისა, ქართველი მქადაგებლები მიზანმიმართულად თავს არიდებდნენ ამგვარ მოღვაწეობას (კეკელიძე, 1951: 529). თუმცა, თუ სხვა გარემოებებსაც დავუწყებთ ძეხნას, აღმოჩნდება, რომ უფრო სიღრმისეული მიზეზებიც ჰქონდა ამას; იმ დროისთვის სავალდებულოდ ითვლებოდა მეექვსე მსოფლიო კრების მე-19 კანონი, რომელიც ავალეებდა „წინამძღუართა ეკლესიისათა ყოველსა შინა დღესა, ხოლო უფროდსა კვრიაკეთა, ყოვლისა ერისა სწავლად სიტყუათა კეთილმსახურებისათა“, მაგრამ არა თავისი მოსაზრებით, არამედ „ვითარ იგი მნათობთა ეკლესიისათა და მოძღუართა აღწერილთა თვისთა მიერ გარდამოსცეს“ (კეკელიძე, 1951: 529). **ე. გაბიძაშვილის** აზრით, „პირველ საუკუნე-

თარგმანები ქართულ მჭევრმეტყველებაში

ებში ქართული ეკლესიის ღვთისმსახურებაც სრულდებოდა ბიზანტიური ღვთისმსახურების ანალოგიით, თუმცა ჩვენს ეკლესიებში წარმოთქმული ქადაგებები აღარ შემოიფარგლებოდა მარტოოდენ წმინდა წერილის, ე.ი. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან ამოკრებილი უმნიშვნელოვანესი ადგილების განმარტებებით ქადაგებისა და საკითხავების ფორმით, არამედ მათ ემატებოდა ბიზანტიაში ამ დროისათვის უკვე კარგად ჩამოყალიბებული ქრისტიანული ეკლესიის მამების მიერ შექმნილი ქადაგებების სისტემა არა მარტო წმინდა წერილის თემებზე, არამედ წმინდანთა დღესასწაულებზე, ქრისტიანული ზნეობის, ქრისტიანის ყოველდღიური ცხოვრების საკითხებზე და ა.შ. ქართულ ეკლესიას ეს ქადაგებები მზამზარეული ფორმით მიეწოდებოდა და ორიგინალური საეკლესიო მჭევრმეტყველების შემუშავება აღარ იყო საჭირო. ამის დასტურია ის, რომ ქართული ორიგინალური ჰომილეტიკა ჩვენი მწერლობის არსებობის მთელ მანძილზე, ყოველ შემთხვევაში XVIII საუკუნემდე, არ შექმნილა“ (გაბიძაშვილი, 2010: 276). ამგვარია ქართველ მეცნიერთა მოსაზრებები.

2.1.2. ფრანგული თარგმანები

გარდა ბერძნულ-ლათინური თარგმანებისა, თარგმნილი ნიმუში მოგვეპოვება ფრანგულ საისტორიო წყაროშიც, კერძოდ, **დავით აღმაშენებლის „სიტყვა თქმული მხედრობის მიმართ დიდგორის ომის წინ“** (კანდელაკი, 1958: 154; ჯაგოდნიშვილი, ჯაგოდნიშვილი, პაპასკირი, 2000: 127). ამ შემთხვევაში, სიტყვა ჯერ ქართულად წარმოითქვა და შემდეგ ითარგმნა ის ფრანგულად. სწორედ აღნიშნული თარგმანის დამსახურებით მოაღწია ნიმუშმა ჩვენამდე. ის დაცულია ფრანგულ საისტორიო წყაროში, კერძოდ, ფრანგი ისტორიკოსის, **გოტიეს 1122** წელს დაწერილ **„ანტიოქიის ომებში“**. **ზ. ავალიშვილის** ნაშრომში დავით აღმაშენებლის სიტყვა მოთავსებულია დამატების სახით. ის ერთვის ავტორის წერილს **„გარშემო ერთის ომისა“**. ამ წერილში ლაპარაკია დიდგორის ომის ფრანგულ საისტორიო წყაროზე, რომელიც ეკუთვნის გოტიე-კანცლერს. წერილის ავტორის ჩვენებით **„ანტიოქიის ომებში“** XVI მუხლის ქვეშ გოტიე გვაცნობს ჯერ სიტყვის წარმოთქმის პირობებს და შემდეგ თვით სიტყვასაც (ავალიშვილი, 1929: 66; კანდელაკი, 1958: 153).

საელჩო მჭევრმეტყველების ნიმუშია ასევე ფრანგულ ენაზე **სულხან-საბა ორბელიანის** „მოხსენება, თქმული ლუი მეოთხემეტისადმი პირველ ვიზიტზე“, წარმოითქვა 1714 წელს, პარიზში, საფრანგეთის მეფესთან პირველი შეხვედრის დროს. ამ შემთხვევაში საბას მოხსენების პირი ქართულად არ არის, მხოლოდ ფრანგულადაა, **პატრი რიშარდის** დაწერილი (თამარაშვილი, 1902: 320). მოხსენების ქართული თარგმანი (თამარაშვილი, 1902: 321-322) და ფრანგული ორიგინალი (თამარაშვილი, 1902: 728-730) გამო-

აქვეყნა მიხეილ (მიქელ) თამარაშვილმა თავის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“.

სულხან-საბა ორბელიანის „შესხმა, თქმული ლუი მეოთხემეტისადმი მეორე ვიზიტზე“, წარმოითქვა 1714 წლის მაისში პარიზში, საფრანგეთის მეფესთან მეორედ შეხვედრის დროს. ამ შემთხვევაში საბას მეფისათვის შესხმა უთქვამს, რომელიც ფრანგულადაა შემონახული, ხოლო დედანი არ მოგვეპოვება. მიხეილ თამარაშვილი წერს: „სჩანს რომ მეფის წინაშე პატრი რიშარდს საბას გამოთქმული სიტყვა ფრანგულად გადაუცია“ (თამარაშვილი, 1902: 324). მოხსენების ქართული თარგმანი (თამარაშვილი, 1902: 324-325) და ფრანგული ორიგინალი (თამარაშვილი, 1902: 731-732) გამოაქვეყნა მიხეილ (მიქელ) თამარაშვილმა თავის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“.

2.1.3. რუსული თარგმანები

XIX ს.-ის შემდგომ სამქადაგებლო მჭევრმეტყველებაში ვხვდებით რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად თარგმნილ ნიმუშებს.

ცალკე წიგნადაა გამოცემული რუსულიდან ქართულად თარგმნილი სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ნიმუშები, რომელთა დიდი ნაწილი ეკუთვნის საქართველოს ეპისკოპოსს პავლეს. მის გარდა, კრებულში წარმოდგენილია ექსარხოს ვარლამის „სწავლა პირველი საქართველოს ექსარხოსის არხიეპისკოპოსის ვარლამის მიერ თქმული წმიდასა პასეკის მწუხრსა ზედა“, არხიმანდრიტ გრიგოლის „შესხმა, თქმული 11-ს ნოემბერს 1884-ს წელსა, შემთხვევისაგამო მიტროპოლიტის ისიდორეს 50 წლის ეპისკოპოსობის იუბილეისა. არხიმანდრიტის გრიგორისაგან – (დადიანი)“, ყოვლად უსამღვდელოესის გაბრიელის (ქიქოძე) „მოკლე მოძღვრება, თქმული 14 იანვარს ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში ყოვლად უსამღვდელოესის გაბრიელისაგან“ და მღვდლის დავით ღამბაშიძის „მოკლე მოძღვრება, თქმულ არს ყვირილის ნათლის-მცემლის ეკლესიაში მღვ. დ. ღამბაშიძისაგან პირველი დიდ-მარხვის კვირიაკის სამშაბათს / რაში მდგომარეობს ზიარებისათვის მომზადება?“. ამდენად, კრებული თავს უყრის სიტყვის, შესხმის, მოძღვრებისა და სწავლის უნარის ნიმუშებს (იხ. სიტყვანი და მოძღვრებანი..., 1887).

წინასიტყვაობაში ვკითხულობთ კრებულის თარგმნისა და წიგნად გამოცემის მიზეზებს: „1801 წლიდგან საქართველოს ეკლესია შეუერთდა რუსეთის ეკლესიას. 1818 წლიდამ ინიშნებიან უწმიდესი და უმართებულესის სინოდისაგან რუსის მთავარ-ეპისკოპოსები საქართველოს ეკლესიის და სამღვდელოთა ექსარხოსებად. არც ერთი ექსარხოსისაგან არ წარმოთქმულა მათი პირველად ჩვენში შემოსვლის და აქ მყოფობის დროს იმდენი სიტყვები, რამოდენიც წარმოითქვა საქართველოს ექსარხოსის არქიეპისკოპოსის პავლესაგან ამ ცოცხა ხანში. ამისათვის ჩვენ განვიზრახეთ რამდენიმე მისი

თარგმანები ქართულ მჭევრმეტყველებაში

სიტყვების რუსულიდან თარგმნა და ცალკე წიგნად გამოცემა. ეს სიტყვები ჩვენი ქართველი სამღვდელოებისა და საზოგადოებრივების საინტერესონი არიან და ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ ყველანი სიამოვნებით წაიკითხვენ მათ“ (სიტყვანი და მოძღვრებანი..., 1887: 5). წინასიტყვაობის ავტორია **დეკანოზი დავით დამბაშიძე**.

რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმების შემდეგ, რუსულიდან ქართულად ითარგმნა არა მხოლოდ სამქადაგებლო, არამედ – **პოლიტიკური მჭევრმეტყველების** ნიმუშიც, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს **სოლომონ დოდაშვილის** „სიტყვა-მოწოდება (ქართველი ერისადმი)“, რომელიც ქართულად დაიწერა 1831 წ.-ს, პოლონეთის აჯანყების ხანებში, არაუგვიანეს 24 სექტემბრისა, როცა ქ. ვარშავის აღება თბილისშიც იზეიმეს, ხოლო მისი რუსული თარგმანი შესრულდა **პოლკოვნიკ სუმბათაშვილის** მიერ საგამომძიებლო კომისიის დავალებით (დოდაშვილი, 1989: 408). აღნიშნული ნიმუშის თარგმანი, როგორც ნივთმტკიცებულება, საჭირო იყო ავტორის შეთქმულებაში მონაწილეობის დასადასტურებლად.

რუსულიდან თარგმნილი **სამგლოვიარო მჭევრმეტყველების** ნიმუშია **ხერსონისა და ტავრიდის არხიუპისკოპოსი ინოკენტის** „სიტყვა დასაფლავებასა ზედა ღენერალ ჭელდმარშალისა, უგანათლებულესისა თავადისა მიხაილ სვიმონის ძის ვორონცოვისა, თქმული ოდესისა საკათედროსა ტაძარსა შინა სინოდის წევრისა მიერ, მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესისა ინოკენტი არხიუპისკოპოსისა ხერსონისა და ტავრიდისა, 10 ნოემბერსა 1856 წელსა“, რუსულიდან თარგმნილი **ნ. ბერძენოვის** მიერ (ინოკენტი, 1858: 1-30).

ასევე **სამგლოვიარო მჭევრმეტყველების** რუსულენოვანი ნიმუშია **საქართველოს ექსარხოს ვლადიმერის** (ბოგოიაველენსკი) „სიტყვა თქმული იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო ვაბრიელის დასაფლავების დღეს მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის უწმიდესის სინოდის წევრის, ქართლ-კახეთის მთავარ-ეპისკოპოსის, საქართველოს ექსარხოსის ვლადიმერის მიერ“. სიტყვა წარმოითქვა რუსულ ენაზე, 1896, 22 დეკემბერს, თუმცა მაშინვე ითარგმნა რუსულიდან ქართულად **თბილისის სემინარიის მასწავლებლის ილია ფერაძის** მიერ (სიტყვა თქმული..., 1896: 1-7).

3. დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნათარგმნი მჭევრმეტყველების ნიმუშები მრავლად მოიპოვება ქართული ორიგინალური მჭევრმეტყველების ნიმუშების გვერდით. უფრო მეტიც, სწორედ უცხოური წყაროების დამსახურებით მოაღწია ზოგიერთმა ნიმუშმა ჩვენამდე. ნათარგმნი ნიმუშების მიმოხილვამ აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად ამგვარი ძეგლები გვხვდება **სამქადაგებლო მჭევრმეტყველებაში**, შემდეგ მოდის **საელჩო, სამოსამართლო, სამგლოვიარო, სამხედრო და პოლიტიკური მჭევრმეტყველება**.

ნათია კენტჩიაშვილი

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, თუ რა მიზეზები განაპირობებდა მჭევრმეტყველების ნიმუშების თარგმნას სხვადასხვა ენაზე. წინამდებარე კვლევაში ნახვენები იყო მთელი რიგი იმ მოსაზრებებისა, რომლებიც ხსნიდნენ თარგმანების არსებობის ფაქტს და თარგმნის განხორციელების საფუძვლებს. შეიძლება ითქვას, რომ უმთავრესი ფაქტორი, რის გამოც ქართულ მჭევრმეტყველებაში ჩვენ მოგვეპოვება თარგმანები, არის სწორედ **კულტურული, მათ შორის, პოლიტიკური, დიპლომატიური, რელიგიური, სალიტერატურო და ა.შ. ურთიერთობები.**

ეფიქრობთ, I-დან XIX ს.-მდე პერიოდში ქართულიდან სხვა ენაზე და სხვა ენებიდან ქართულად თარგმნილი მჭევრმეტყველების ნიმუშები, რომლებიც აღვწერეთ ამ სტატიაში, აჩვენებს იმას, რომ საქართველოში სხვადასხვა ჟანრის თარგმანებთან ერთად საუკუნეთა განმავლობაში მჭევრმეტყველების დარგის ნიმუშებიც ითარგმნებოდა. მათ ხშირად **პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ როგორც ისტორიული, ისე პოლიტიკურ-კულტურული და ენობრივ-პოეტიკური თვალსაზრისით.**

Natia Kentchiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Translations in the Georgian Rhetoric

Summary

The purpose of the present study is to demonstrate the translations of the Georgian rhetoric, to evaluate the field in which such patterns were obtained, the languages in which they were preserved, the reasons for translating the rhetoric samples, or, conversely, to record them in another language.

In general, Georgian texts can be sorted as primary and secondary sources, which are preserved in foreign languages (Ancient Greek, Latin, French, Russian, etc.).

In this regard, it is necessary to specify that the translated samples include samples of the translations from both foreign languages into Georgian and from foreign languages into Georgian. In this case, the first is numerically greater than the second.

In fact, the issue of the translations of Georgian Rhetoric samples has not been the subject of special research. Therefore, it should be interesting to study it directly from the perspective of the rhetoric.

Georgian Rhetoric includes both original works and translations. The results of the study showed that we have a lot of translated samples in the preaching rhetoric, which is the same as Homiletics. However, it is nonetheless an organic part of the Georgian preaching tradition.

Examination of the specimens has shown that the most frequently translated samples are found in the field of **preaching**. However, despite the translation, they are the organic part of the Georgian Rhetoric. In addition to preaching, we also identified translation samples from the **embassy, judicial, funeral, military, and political rhetoric** fields.

One of the most important issues is the reasons for translating the samples into Georgian or into different languages. The present study showed a number of considerations, explaining the existence of translations and the basics of translation. It can be said that the main factor in the translation of Georgian Rhetoric samples is the cultural reason, in general, including political, diplomatic, religious, literary relationships, etc.

We have studied translation samples from Georgian into other languages and from other languages into Georgian during the period of I-XIX centuries. The result shows that along with translations of various types of literature, the Georgian Rhetoric samples have also been translated across the centuries. They are often of prime importance from the point of view of historical, political, cultural and linguistically as well.

გამოყენებული ლიტერატურა:

ავალიშვილი, ზ. (1929): *ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი*, პარიზი: გამომცემლობა „საქართველო“-ს სტამბა;

არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, (შემდგ.), 1898: არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, გრ. (შემდგ.). *სიტყვიერების თეორია: სალიტერატურო ნიმუშების დამატებით*, ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა;

ბარამიძე, 1962: ბარამიძე, რ. *იოანე ბოლნელი*, თბ.: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა;

ბეზარაშვილი, 2004: ბეზარაშვილი, ქ. *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა: გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით*, თბილისი: მეცნიერება;

ნათია კენჭიაშვილი

- გაბიძაშვილი, 2009:** გაბიძაშვილი, ე. *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები: ბიბლიოგრაფია, 3: პომილეტიკა*, თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- გაბიძაშვილი, 2010:** გაბიძაშვილი, ე. *შრომები II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები*, თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- გეორგიკა, 1965:** *გეორგიკა: უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ*, ტ. II, თბილისი: მეცნიერება;
- გეორგიკა, 1936:** *გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტ. III, ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
- დემოსთენე, 1984:** დემოსთენე, *ფილიპიკები*, ძვ. ბერძნ. თარგმნა, წინასიტყვ. და კომენტარები დაურთო გ. სარიშვილმა, თბილისი: განათლება;
- დოდაშვილი, 1989:** დოდაშვილი, ს. *თხზულებანი*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
- თამარაშვილი, 1902:** თამარაშვილი, მ. *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის: ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით, XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე*, ტფილისი: ელექტრ. საბეჭდი სტამბა ქართ. წიგ. გამ. ამხ.;
- ინოკენტი, 1858:** სიტყვა დასაფლავებასა ზედა დენერალ ქელდმარშალისა, უგანათლებულესისა თავადისა მიხაილ სვიმონის ძის ვორონცოვისა, თქმული ოდესისა საკათედროსა ტაძარსა შინა სინოდის წევრისა მიერ, მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესისა ინოკენტი არხიეპისკოპოსისა ხერსონისა და ტავრიდისა, 10 ნოემბერსა 1856 წელსა, რუსულითგან თარგმნილი ნ. ბერძენოვისაგან, ტფილისი: (ხელმწიფე იმპერატორის ნამესტნიკის კანცელარიის სტ.)
- კანდელაკი, 1958:** კანდელაკი, ნ. *ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები*, თბილისი: ხელოვნება;
- კანდელაკი, 1961:** კანდელაკი, ნ. *ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება, ნარკვევები ქართული ორატორული ხელოვნების ისტორიიდან*, თბილისი: ხელოვნება;
- კანდელაკი, 1966:** კანდელაკი, ნ. *ქართული საელჩო მჭევრმეტყველება*, თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება;

თარგმანები ქართულ მჭევრმეტყველებაში

- კანდელაკი, 1968:** კანდელაკი, ნ. *ქართული მჭევრმეტყველება*, თბილისი: საბჭოთა საქართველო;
- კანდელაკი, 1975:** კანდელაკი, ნ. *ქართული მჭევრმეტყველება*, ტ. 1, თბილისი: ხელოვნება;
- კაჭახიძე, 2000:** კაჭახიძე, ვ. *ორატორები: კრებული*, თბილისი: სტ. „პოლიგრაფისტი“;
- კეკელიძე, 1951:** კეკელიძე, კ. *ძველი ქართული მწერლობის ისტორია*, ტ. 1, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
- ჟვანია, 1961:** ჟვანია, ვ. *ქართველი იურისტები*, თბილისი: ხელოვნება;
- სიტყვა თქმული..., 1896:** *სიტყვა თქმული იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო გაბრიელის დასაფლავების დღეს მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის უწმიდესის სინოდის წევრის, ქართლ-კახეთის მთავარ-ეპისკოპოსის, საქართველოს ექსარხოსის ვლადიმერის მიერ;*
- სიტყვანი და მოძღვრებანი..., 1887:** *სიტყვანი და მოძღვრებანი, თქმულნი საქართველოს საექსარხოსოში მაღალ ყოვლად სამღვდელოს საქართველოს ექსარხოსის არქიეპისკოპოსის პავლეს მიერ*, ქუთაისი: გამოცემა «მწყემსი»-ს რედაქციისა, სტამბა ღამბაშიძისა;
- ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, 1913:** *ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა: თქმულნი 1870-1884 წლებში*, ტ. 2, ქუთაისი: სტამბა „ძმობა“;
- ქავთარაძე, 1962:** ქავთარაძე, პ. *თარგმანები: ბერძენი და რომაელი ავტორები*, თბილისი: საბჭოთა საქართველო;
- ჭყონია, 1890:** ჭყონია, ა. *ისტორიული ნარკვევი, ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის: უძველეს დროიდან ბავრაციონთ გამეფებამდე*, ტფილისი;
- ჯაგოდნიშვილი, ჯაგოდნიშვილი, პაპასკირი, 2000:** *ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ივ., პაპასკირი, ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომატია-პრაქტიკუმი)*, თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი.